ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1055513

ნომერი: AR1183397

თარიღი : 09.12.2013

გაცემის თარიღი : 25.12.2013

გაცნობის თარიღი : 31.12.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა აკური , N 31 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- აკაკი ჩხაიძე პ/ნ 01023000419
- თბილისი დ. წყნეთი შ.რუსთაველის ქ. N 28

ორგანიზაცია:
- შპს ,,ღვინის სასახლე" კოდი: 404927228

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 19.04.2010 წ. #527 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 09.12.2013 წ. #AR1183397 განცხადებით მომართა შპს „იბერია 2012“-ის დირექტორმა აკაკი ჩხაიძემ და მოითხოვა 19.04.2010 წ. #527 მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, კერძოდ საპროექტო მიწის ნაკვეთის კონფიგურაციის შეცვლა.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის

სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ #01.10.13.035.001 (423 კვ.მ.) საკადასტრო ერთეულზე სასტუმროს ასაშენებლად დამტკიცდა #527 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. საპროექტო ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარების ფუნქციური ზონაა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა–1. აღნიშნულ ზონაში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, დასაშვებია სასტუმროს მშენებლობა.

განმცხადებლის მიერ სამსახურში წარმოდგენილი იქნა ახალი ამონაწერი და საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის #882013315163, მომზადების თარიღი: 10.07.2013წ. საკადასტრო კოდი: #01.10.13.035.001, ფართობი: 423 კვ.მ.), რომლის თანახმადაც შეცვლილია მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია.

მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

ვინაიდან, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საკადასტრო ერთეულის ცვლილება უნდა აისახოს სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამკვეთის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 19.04.2010 წ. #527 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს ახალი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა (რეგისტრაციის #882013315163, მომზადების თარიღი: 10.07.2013წ. საკადასტრო კოდი: #01.10.13.035.001, ფართობი: 423 კვ.მ.);
2. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 19.04.2010 წ. #527 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის ფართობი მიეთითოს - 423 კვ.მ., საკადასტრო კოდი დაფიქსირდეს-#01.10.13.035.001;
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 19.04.2010 წ. #527 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.